საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის 2019 წლის 13 სექტემბრის სხდომის

ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრები:

ირაკლი ბერაია - ფრაქცია „ქართული ოცნება“

გიორგი გაჩეჩილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“

ნინო გოგუაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

გიორგი ვოლსკი - ფრაქცია „ქართული ოცნება“

გიორგი კოპაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის“

ადა მარშანია - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“

კობა ნარჩემაშვილი - პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი

სიმონ ნოზაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველები“

გედევან ფოფხაძე - პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი

დიმიტრი ხუნდაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“

სხდომას არ ესწრებოდნენ:

რომან გოცირიძე - ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობა“

გიორგი კანდელაკი - ფრაქცია „ევროპული საქართველო“

სერგი კაპანაძე - ფრაქცია „ ევროპული საქართველო - რეგიონები“

ლელა ქებურია - ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“

სხდომა გახსნა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრთა შორის, უხუცესმა წევრმა სიმონ ნოზაძემ, რომელმაც სხდომის მონაწილეებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარის არჩევა;

2. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის მდივნის არჩევა;

3. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის დებულების შემუშავება.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, სიმონ ნოზაძემ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტის უმრავლესობის სახელით, სხდომის მონაწილეებს, კომისიის თავმჯდომარედ წარუდგინა ირაკლი ბერაიას (ფრაქცია „ქართული ოცნება“) კანდიდატურა.

სხდომამ გადაწყვიტა: არჩეულ იქნეს ირაკლი ბერაია საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარედ.

(აღნიშნულ გადაწყვეტილბას მხარი დაუჭირა, სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრმა ადა მარშანიას გარდა. დეპუტატმა ადა მარშანიამ სხდომის მსვლელობისას, თავის გამოსვლაში გააკეთა შესაბამისი განმარტება. ახსნა ის მიზეზები, რის გამოც თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან და მხარი არ დაუჭირა კომისიის თავმჯდომარედ ირაკლი ბერაიას კანდიდატურას.

ახლადარჩეულმა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ, მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისთვის და კომისიაზე დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე ისაუბრა:

-„საპარლამენტო უმრავლესობის სულისკვეთებაა, არსებობდეს პლატფორმა, კონსტრუქციულ რეჟიმში მსჯელობის და დისკუსიისთვის ყველა იმ საკითხზე, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და თითოეული მოქალაქის ინტერესს, განსაკუთრებით იმ ადამიანების, ვინც ცხოვრობს საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს და ყოველდღიურად განიცდის, ამ უდიდესი პრობლემის სიმძიმეს“.

კომისიის თავმჯდომარემ, ვრცლად ისაუბრა კომისიის სამომავლო საქმიანობაზე: „რაც შეეხება კომისიის საქმიანობას, ჩვენ გვექნება ინტენსიური მუშაობა. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა მოიცავს ბევრ კომპონენტს, მათ შორის ადგილზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას, დიპლომატიურ ძალისხმევას და საერთაშორისო პარნტიორებთან მუშაობას, შერიგების პროცესს და კონფლიქტით დაზარებულ მოსახლეობაზე ზრუნვას. ძალიან ბევრი უწყება მუშაობს ამ საკითხებზე და ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, მათ შორის, დახურულ ფორმატში, ასევე შესაბამის კომიტეტებთან ერთობლივად მოვისმინოთ მათგან ინფორმაცია და შევაფასოთ მათი საქმიანობა. ვიცოდეთ, სად არის დაბრკოლება და სად შეიძლება გადაიდგას, უფრო მოქნილი ნაბიჯები, ამ მიმართულებით საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ასევე გვექნება გასვლითი სხდომებიც, ხშირი ვიზიტები საოკუპაციო ხაზთან, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას საკუთარი თვალით ვნახოთ ადგილზე ვითარება. ამ პრობლემის მოგვარებას ასევე აქვს ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო განზომილებაც. ჩვენ ვართ სხვადასხვა დელეგაციის წევრები, ვღებულობთ სხვადასხვა საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას, სადაც ჩვენი კოლეგა დეპუტატები აკეთებენ საქართველოს მხარდამჭერ და ოკუპაციის დამგმობ განცხადებებს. ჩვენი პარნტიორი ქვეყნების პარლამენტარები ასევე აქტიური არიან მათ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მუშაობაში, რათა საქართველოს ოკუპირებული ტერორიების საკითხი მუდმივად იყოს აქტუალური საერთაშორისო დღის წესრიგში. ამ მიმართულებით ჩვენ ვიქნებით ძალიან აქტიური. ჩვენი საქმიანობა იქნება გამჭირვალე და საზოგადოებას ეცოდინება ამის შესახებ“, - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან (კომისიის მდივნის არჩევა) დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ, პარლამენტის რეგლამენტის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისიის მდივნად დაასახელა პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის კობა ნარჩემაშვილის კანდიდატურა.

სხდომამ გადაწყვიტა: არჩეულ იქნეს კობა ნარჩემაშვილი საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის მდივნად.

(აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად).

„მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის. დაკარგულ ტერიტორიებზე, დეოკუპაციის საკითხზე და რაღაც თვალსაზრისით ჩიხში შესულ პროცესზე, უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი თემა არამგონია არსებობდეს. მე ვეთანხმები, რომ არის რაღაც საკითხები სახელმწიფოებრივი თვალსაზრით, რომელიც ეხება ჩვენს მომავალს, ქვეყნის მომავალს და ასეთ საკითხებზე პოზიციას, თუ ოპოზიციას, უნდა ჰქონდეს დისკუსიების და საუბრის ერთი აზრი, რადგან ეს არის, ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის“, - განაცხადა კომისიის მდივანმა, კობა ნარჩემაშვილმა.

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხთან (კომისიის დებულების შემუშავება) დაკავშირებით, მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ბერაიას ინფორმაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის საქმიანობასა და უფლებამოსილებაზე, ფუნქციებზე და კომისიის კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე.

აზრი გამოთქვეს: ადა მარშანიამ, გედევან ფოფხაძემ, კობა ნარჩემაშვილმა, გიორგი ვოლსკიმ.

სხდომამ გადაწყვიტა: მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი დებულების პროექტი და წარედგინოს ის პარლამენტის ბიუროს დასამტკიცებლად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ბერაია

კომისიის მდივანი

კობა ნარჩემაშვილი